ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**ბ44.442206623**
თარიღი:**07/03/2022**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციისას

შესაძლო შტატის შემცირების გამო გასათავისუფლებელ მოხელეთა

იდენტიფიცირების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 28 თებერვლის N№44.442205921 ბრძანებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში დაიწყო რეორგანიზაციის პროცესი. რეორგანიზაციას შესაძლოა მოჰყვეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა შტატის შემცირება.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციისას შესაძლო შტატის შემცირების გამო გასათავისუფლებელ მოხელეთა იდენტიფიცირების მიზნით, მიზანშეწონილია შეიქმნას კომისია.

გამომდინარე ზემოთაღნიშნულიდან, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის“ მე-10 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციისას შესაძლო შტატის შემცირების გამო გასათავისუფლებელ მოხელეთა იდენტიფიცირების მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) დავით ერემეიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) იუზა უგულავა - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) შუშანა ხურციძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი - კომისიის მდივანი;

დ) ირაკლი ქარქაშაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის წევრი;

ე) პეტრე ადამაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ვ) ირაკლი გიორგაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ზ) გაგა სანდუხაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

თ) დავით ნიშნიანიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ი) ვარლამ გობეჯიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

კ) მირზა მამასახლისი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვთმმართველობისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ლ) ვალერი ყენია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი.

2. კომისიამ არაუგვიანეს 2022 წლის 26 აპრილისა უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციისას შესაძლო შტატის შემცირების გამო გასათავისუფლებელ მოხელეთა სიის განსაზღვრა.

3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი მაინც.

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ კომისიი თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია, გაითვალისწინოს მოხელის კომპეტენცია, შეფასების შედეგები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კვალიფიკაცია, გამოცდილება და სხვა ობიექტური გარემოებები და დასაბუთებული შედეგები ასახოს სხდომის ოქმში.

6. ცნობად იქნეს მიღებული, რომ კომისია საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია, ჩაატაროს გასაუბრება და დასაბუთებული შედეგები ასახოს სხდომის ოქმში.

7. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში/ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

10. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი